

ბუნებრივი ზონირება და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები

ზურაბ სეფერთელაძე, ეთერ დავითაია, თამარ ალექსიძე, ნინო რუხაძე, მელორ ალფენიძე

ელ.ფოსტა: <mailto:vazha.trapaidze@tsu.ge> zurab.seperteladze@tsu.ge

^ა გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #1
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0186, ჯიქიას ქ.#11

ბუნებრივი ზონირება კომპლექსური ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელსაც გარდა თეორიულისა დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი ასპექტები გააჩნია. რეგიონების გამოყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა დაგეგმარების საქმეში. ბუნებისა და მასში მიმდინარე პროცესების ცოდნას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, რკინიგზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

ქვეყნის რეგიონული დიფერენციაციის მნიშვნელობა დიდია სოფლის მეურნეობის, არსებითად აგროკულტურების ოპტიმალური განვითარება-განლაგების მიზნით. ბუნებრივი ზონირებისას გამოვლენილი რეგიონები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლანდშაფტების სივრცობრივი განლაგებით, ჰიფსომეტრიული მდებარეობით, ანთროპოგენური ზემოქმედების ფორმებით და მასშტაბებით, ბიო და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემებით და სხვ.

ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ კვლევებში უმთავრესი რეგიონის ბუნებრივი და სოციალური ეკონომიკური ვითარების ანალიზია, რაშიც მკაფიოდ აირეკლება ტერიტორიის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე ეკოლოგიური სიტუაცია. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა საჭიროებს სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ:

– ბუნებას, მოსახლეობას და მეურნეობას შორის მრავალფეროვანი ურთიერთკავშირის ჩვენება;

– ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ყველა ასპექტის კვლევა;

– გარემოზე ადამიანის ზემოქმედების ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრა; გეოეკოსისტემების მდგრადობა;

– ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სინთეზური რუკის შედგენა.